პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 279 (10365) | პარასკევი, 25 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი ბომბეიში ჩავიდნენ (1-ლი და მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ამხანაგ ანასტას ივანესძე მიქოიანისადმი (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ ა. ი. მიქოიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).

თბილისში ჩამოვიდა ალბანეთის საპარლამენტო დელეგაცია (1-ლი გვერდი).

მ. ხეთაგური. — მეტი ყურადღება მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას (მე-2 გვერდი).

ი. ქავთარაძე. — საზამთრო საძოვრებზე მექანიზაციის გაუმჯობესებისათვის (მე-3 გვერდი).

ჩვენი კალენდარი. — ს. ნემანიშვილი. — გეოგრაფიული მეცნიერების დაუღალავი მოღვაწე (მე-3 გვერდი).

კინო. — ბ. თათარიშვილი. — ცისფერი ეკლესიარა.

გ. გელაშვილი. — მოწინავეთა გამოცდილების დემონსტრაცია (მე-3 გვერდი).

მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია (მე-4 გვერდი).

მოსკოვში ჩამოვიდა ატომის ენერგიის დარგის იუგოსლავ სპეციალისტთა დელეგაცია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი ბომბეიში ჩავიდნენ

შეხვედრა აეროდრომზე და მიტინგი ქალაქში

ბომბეი, 23 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ამხანაგები ხრუშჩოვი და ბულგანინი დღის მეორე ნახევარში უტარ პრადეშის შტატიდან თვითმფრინავით ჩამოვიდნენ ბომბეიში, სადაც სანტა კრუზის აეროდრომზე მათ შეხვდნენ ბევრი ოფიციალური პირი და ხალხის წარმომადგენლები.

ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა ბომბეის შტატის მთავარი მინისტრის მ. დესაის თანხლებით ჩამოუარეს ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების საპატიო ყარაულს. შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ჰიმნები.

შემდეგ სპეციალური ტრიბუნიდან შტატის მთავარი მინისტრი მ. დესაი მიესალმა სტუმრებს. მან თქვა:

თქვენო აღმატებულებავ, ძლიერ მოხარული ვართ მოგესალმოთ ქალაქ ბომბეიში. ინდოეთში მოკლე პერიოდის განმავლობაში ყოფნისას თქვენ ინახულეთ ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი სხვა საინტერესო ადგილები. დღეს ბომბეიში ჩამოხვედით. ბომბეი ის ქალაქია, სადაც შეიძლება შეხვდეთ ინდოეთის ყველა პროვინციისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. თქვენი ვიზიტი ამ ყველგან ცნობილ ქალაქში დიდი სიხარულია ბომბეის მოქალაქეებისათვის.

ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ამ ცოტა ხნის წინათ ინახულა თქვენი დიდი ქვეყანა. ამ ვიზიტის შედეგად ინდოეთისა და რუსეთის ხალხებმა ისარგებლეს შემთხვევით და უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს. თქვენი ვიზიტი ინდოეთში ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ინდოეთს მუდამ სწამდა მშვიდობის იდეალები და უარყოფდა ძალადობას, ხოლო ჩვენი სახელმწიფოს მამამ მაჰათმა განდიმ გვიანდერძა მეგობრობა ვიქონიოთ მსოფლიოს ყველა ხალხთან. ხალხებმა, რომლებსაც სურთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარება, განაცხადეს, რომ სწამთ პანჩა შილას პრინციპები; თქვენი დიდი და ძლიერი ხალხი ერთი ამ ხალხთაგანია.

ინდოელ ხალხს სწამს, რომ ხალხთა მშვიდობა და ურთიერთგაგება უზრუნველყოფს პროგრესს ყველა ჩვენთვის და მაშინ აღარ იქნება ნგრევა. ჩვენ გვწამს, რომ ინდოეთისა და რუსეთის მეგობრობა მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შექმნას და უზრუნველყოფს კაცობრიობის კეთილდღეობას. იმედი მაქვს, რომ ეს მიგვიყვანს მშვიდობის ეპოქამდე, მთელი მსოფლიოს აყვავებამდე. ერთხელ კიდევ სულით და გულით მოგესალმებით ქალაქ ბომბეიში.

ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა, უპასუხა რა მთავარი მინისტრის მისალმებას, თქვა:

ძვირფასო მეგობრებო,

გულითადი მადლობა თქვენი მეგობრული და გულთბილი შეხვედრისათვის. მე და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ყველა მეგობარი, რომლებიც ჩვენთან ერთად ჩამოვიდნენ, მოხარული ვართ მივესალმოთ სახელოვან ქალაქ ბომბეის ყველა მოქალაქეს.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ისტორია თქვენი შესანიშნავი ქალაქისა, სადაც დაიწყო ინდოელი ხალხის ორგანიზებული მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თქვენი ქალაქი ცნობილია როგორც მსოფლიო სატრანსპორტო და სამრეწველო ცენტრი, როგორც ეროვნული კულტურისა და მეცნიერების ცენტრი.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თქვენი შესანიშნავი ქალაქი რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. აი ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ვინახულოთ სახელოვანი ქალაქი ბომბეი, გავეცნოთ მის მცხოვრებთ და მათს მიღწევებს ეკონომიურ, კულტურულ და მეცნიერულ დარგებში.

დიდად მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია ქალაქ ბომბეის მცხოვრებთ პირადად გადავცეთ საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრული და მხურვალე სალამი.

ერთხელ კიდევ გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო, გულთბილი და მეგობრული შეხვედრისათვის.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ სტუმრებისა და მათი თანმხლები პირების მანქანები აეროდრომიდან გაემართნენ 20 კილომეტრი გზით სტადიონამდე, სადაც დანიშნული იყო საქალაქო მიტინგი საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

ბომბეი ნ. ს. ხრუშჩოვსა და ნ. ა. ბულგანინს დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. გზატკეცილისა და ქალაქის ქუჩების გაყოლებით არ იყო არც ერთი მეტრი ადგილი, სადაც გზის ორივე მხარეზე ათეულ მწკრივად არ მდგარიყვნენ ბომბეის მოქალაქენი. მათ ხელში ეჭირათ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ალმები. საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად განუწყვეტლივ გაისმოდა შეძახილები: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! გაუმარჯოს მშვიდობას! ინდოელები და რუსები ძმები არიან! ყველგან მოჩანდა მისალმების ლოზუნგები. ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე გამოფენილი იყო ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. ნერუს პორტრეტები.

უკვე დაბინდდა, როცა სტუმრების მანქანები მივიდნენ პროჟექტორებით გაშუქებულ ბომბეის პატელის სახელობის სტადიონზე, სადაც შეიკრიბა სულ მცირე 200 ათასი კაცი. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს. მიტინგი გახსნა ქალაქ ბომბეის მერმა ნ. პუპალამ. მან გამოაქვეყნა ქალაქ ბომბეის ადრესი საბჭოთა სტუმრებისადმი.



ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფესა და სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ თქვენს დამსახურებას საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პასუხსაგებ პოსტზე თქვენთვის ჩვეული ენერგიით აზმარდით ძალასა და ცოდნას კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ჩვენო ძვირფასო ანასტას ივანეს-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხების საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ ა. ი. მიქოიანის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგი ანასტას ივანეს-ძე **მიქოიანი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 24 ნოემბერი.

ქალაქ ბომბეის მერის ადრესი

თქვენო აღმატებულებავ,

ჩვენ, დიდი ბომბეის მუნიციპალური კორპორაციის ყველა წევრი, მოქალაქეთა დავალებით გადმოგცემთ გულითად სალამს. გვიხარია, რომ ჩვენს შორის ხართ და შესაძლებლობა გვაქვს თქვენი სახით რუსეთის ხალხებს გადავცეთ ჩვენი კეთილი სურვილები. გარწმუნებთ, რომ დიდხანს გვეხსომებით. მოგესალმებით, როგორც იმ დიდი ხალხის წარმომადგენლებს, რომლის მტკიცე ბრძოლა იყო ჩვენი აღტაცების საგანი ოთხი ათეული წლის განმავლობაში. თქვენმა ქვეყანამ ბევრი შესანიშნავი ბრძოლა მოიგო უცხოეთის აგრესიის წინააღმდეგ. თქვენი როგორც დიდი სახელმწიფოს გამოსვლა მსოფლიო ასპარეზზე ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. სავსებით ცხადია, რომ ხალხი, რომელმაც ესოდენ ბევრი გამოსცადა, ესწრაფვის მშვიდობის გზებით სიარულს. იმ გარემოებამ, რომ რუსეთი შეუერთდა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, რომლებიც პრემიერ-მინისტრმა ნერუმ ჩამოაყალიბა ინდოეთის გამოცდილების საფუძველზე, მეტად ხელსაყრელი საერთაშორისო ატმოსფერო შექმნა წარმატებითი თანაარსებობისათვის. ჩვენი ქვეყნების მეგობრობის კავშირი განმტკიცდა მას შემდეგ, რაც განმტკიცდა ინდოეთის თავისუფლება. ჩვენ ვნახეთ, თუ რა მხურვალედ მიესალმა რუსეთის ხალხი ჩვენს პრემიერ-მინისტრს, როცა იგი თქვენს ქვეყანაში ჩამოვიდა. იმედი გვაქვს, რომ თქვენი ვიზიტი ინდოეთში კიდევ უფრო დაახლოებს ჩვენს ქვეყნებს მათი ურთიერთსარგებლობისათვის. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს აღმატებულებას, როგორც თქვენი ხალხის ღირსეულ ლიდერებსა და ერთგულ მსახურთ. თქვენ, ბატონო ბულგანინ, თქვენს მაღალ თანამდებობაზე დაწინაურდით თქვენი შესანიშნავი თვისებებისა და თქვენი ქვეყნისადმი ერთგულების მეოხებით. თქვენ განვლეთ დიდი თვალსაჩინო კარიერის გზა. დაიწყეთ რა იგი 22 წლისამ, რევოლუციური მოძრაობის პერიოდში, თქვენ თვალსაჩინო როლი შეასრულეთ თქვენი ქვეყნის განვითარებაში. ის ფაქტი, რომ თქვენ მოსკოვის მერი იყავით 1931 წლიდან 1938 წლამდე, განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩვენი კორპორაციისათვის, რამდენადაც ეს ფაქტი ნათესაობის კავშირს ამყარებს ჩვენს ორ ქალაქს შორის. თქვენ თვალსაჩინო სამსახური გაუწიეთ თქვენს ქვეყანას მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებში. 1947 წლის მარტში თქვენ დაინიშნეთ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1953 წლის მარტში თქვენ დაინიშნეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრად. თქვენმა ქვეყანამ მოგანიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაგაჯილდოვათ წითელი დროშის, სუვოროვის, კუტუზოვისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით. 1955 წლის 8 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ თქვენი არჩევა იყო თქვენი შესანიშნავი კარიერის უმაღლესი წერტილი და იმ ნდობის დადასტურება, რომლითაც რუსეთის ხალხი თქვენ გეპყრობათ.

ჩვენი ქალაქი მოგესალმებათ თქვენ, ბ-ნო ხრუშჩოვ, როგორც მეორე გამოჩენილ საბჭოთა მოღვაწეს. დაიბადეთ რა მუშის ოჯახში, თქვენ მთელი ძალები მოახმარეთ დიად საქმეს და თქვენი ხალხის ნდობა, პატივისცემა და აღტაცება დაიმსახურეთ. თქვენ დაიწყეთ თქვენი გზა როგორც მუშამ დონბასის ერთ-ერთ შახტში და გმირულად იბრძოდით სამხრეთის ფრონტზე სამოქალაქო

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ინდოეთი. 20 ნოემბერს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა დიდი დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. **სურათზე:** დარბაზობა ინდოეთის პრეზიდენტთან. მარცხნიდან მარჯვნივ — ნ. ს. ხრუშჩოვი, ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი სარვაპალი რადჰაკრიშნანი, ნ. ა. ბულგანინი, ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

ფოტო ვ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

თბილისში ჩამოვიდა ალბანეთის საპარლამენტო დელეგაცია

24 ნოემბერს ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ალბანეთის სახალხო კრების თავმჯდომარე გოგო ნუში. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიხალ პრიფტი და მისი მეუღლე.

აეროდრომი მორთულია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. დელეგაციის შესახვედრად აქ მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. ჭირაქაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. გ. მამაცაშვილი, ვ. გ. ქერქაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ლ. გუნია, ნ. ი. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის, პრესის წარმომადგენლები.

ზედიზედ ეშვებიან თვითმფრინავები. შეკრებილნი მხურვალე ტაშით ხვდებიან ალბანეთის დელეგაციას. პიონერები ყვავილებს უძღვნიან სტუმრებს.

ალბანეთის სახალხო კრების დელეგაციის წევრებს მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის მეთაურმა გოგო ნუშიმ მადლობა გამოთქვა გულითადი მიღებისათვის და განაცხადა:

— ალბანელი ხალხი უსაზღვრო სიყვარულით არის გამსჭვალული დიდი საბჭოთა ხალხისადმი. იგი ამაყობს მისი გამარჯვებებით კომუნიზმის მშენებლობაში. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — განაგრძო მან, — რომ ჩვენი დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს, რომელსაც პირველ რიგში იცავენ საბჭოთა კავშირის სახელოვანი ხალხები.

ალბანეთის სახალხო კრების დელეგაცია იმავე დღეს მიიღო ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი ბომბეიში ჩავიდნენ

(დასასრული)

ომის დროს. მას შემდეგ თქვენ ბევრი დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები საქმე გააკეთეთ თქვენს ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომის დროს თქვენ იყავით კიევის ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი. 1952 წელს თქვენ აგირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და ამ კომიტეტის მდივნად. დღეს თქვენ ხართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი უაღრესად გამოცდილი და პატივცემული წევრი. მადლიერმა ქვეყანამ თქვენ დაგაჯილდოვათ დიდი ჯილდოთი — ლენინის ორდენებით, სუვოროვის ორდენებით, შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო თქვენი დაბადების 60 წლისთავის გამო 1954 წლის აპრილში მოგანიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

იმედი მაქვს, რომ თქვენთვის სასიამოვნო იქნება ჩვენს ქალაქში და ჩვენს ქვეყანაში ყოფნა. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ თქვენი ჩამოსვლა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ერთობლივ ნებას მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

• • •

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

ნ. ა. ბ ულ გ ა ნ ი ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

ბატონო მერო!

ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ პირადად ჩემი სახელით, ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისა და იმ მეგობრების სახელით, რომლებიც ჩვენთან ერთად ჩამოვიდნენ ინდოეთში, მრავალი მილიონი საბჭოთა ადამიანის სახელით გადმოგცეთ მხურვალე სალამი. გულითადი მადლობა თქვენ, თქვენი შესანიშნავი ქალაქის მრავალ ათას მოქალაქეს, რომლებიც მოვიდნენ აქ, რათა გამოეხატათ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებისადმი სიყვარულის მეგოშრული გრძნობები. ასეთი შეხვედრა იმის მკაფიო დამადასტურებელია, რომ ამ დიდ ქალაქში საბჭოთა ხალხს ჰყავს ბევრი კარგი მეგობარი, რომლებმაც იციან ჩვენი ხალხების მეგობრობის დაფასება. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობენ ქალაქ ბომბეის სახელს. ჩვენ ვიცნობთ მას როგორც დიდ თანამედროვე ქალაქს, როგორც უდიდეს სამრეწველო ცენტრს, როგორც მეცნიერებისა და კულტურის დიდმნიშვნელოვან კერას და, ბოლოს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ნავსადგურს. ბომბეის სახელი გაუთქვეს მრავალი თაობის მანძილზე თავიანთი დაძაბული შრომით უბრალო ინდოელმა მშრომელებმა. სწორედ მათ ააშენეს მისი ქარხნები, ფაბრიკები, რკინიგზები, ლამაზი სახლები. სწორედ ისინი მუშაობდნენ და მუშაობენ საწარმოებში, აწარმოებენ საქონელს, რომელსაც ყველა იცნობს ინდოეთის ფარგლებს გარეთ.

ბომბეი არის ინდოელი ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი ცენტრი, მისი ეროვნული სიამაყე. აქ განსაკუთრებით თვალნათლივ ცხადყო ინდოელმა ხალხმა, რომ იგი, ისევე როგორც აზიის სხვა ხალხები, წარმატებით ეუფლება მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების უმაღლეს მიღწევებს, ქმნის თანამედროვე მრეწველობას, ავითარებს მიმოსვლის თანამედროვე საშუალებებს.

თქვენმა ქალაქმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელმაც საშუალება მისცა ინდოეთს განთავისუფლებულიყო კოლონიური ჩაგვრისაგან, მიეღო დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება. საბჭოთა ხალხი მუდამ დიდი ყურადღებით და თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს ინდოელი ხალხის ამ ბრძოლას. ჩვენმა ბელადმა და ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ჯერ კიდევ 1908 წელს წარმოთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები იმის შესახებ, რომ კოლონიურ რეჟიმს ინდოეთში გარდუვალი კრახი მოელის. ეს შესანიშნავი სიტყვები ასრულდა.

ახლა ინდოეთი გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა. მის ხალხს მიეცა შესაძლებლობა საკუთარი შეხედულებისამებრ მოაწყოს თავისი ბედი. ამ მოვლენის მნიშვნელობა შორს სცილდება ინდოეთის ფარგლებს. იგი ასახავს იმ დიად ცვლილებებს, რაც ამჟამად ხდება აზიაში, სადაც ინგრევა ხალხებისათვის გარედან თავსმოხვეული კოლონიური რეჟიმები. ჩვენ სიხარულით ვხედავთ დიდ შემოქმედებითს მუშაობას, რომელსაც ინდოელი ხალხი ეწევა. თქვენ დაისახეთ მეტად მნიშვნელოვანი მიზანი — გახადოთ თქვენი ქვეყანა ეკონომიურად დამოუკიდებელი.

ჩვენმა საბჭოთა ადამიანებმა საკუთარი გამოცდილებით იციან, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მიზნის მიღწევას. საბჭოთა კავშირი სავსებით თანაუგრძნობს ინდოეთის ხალხის კანონიერ სურვილს — მიაღწიოს ეკონომიურ დამოუკიდებლობას, და მზად არის ითანამშრომლოს ინდოეთთან ეკონომიური მშენებლობის დარგში. ჩვენ მხარს ვუჭერთ ინდოეთთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოებას, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გაცვლასა და შემოქმედებითად დამყარებულ და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

სსრ კავშირის მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში მუდამ ახორციელებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, რომელიც წამოაყენა დიდმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცება, რათა მოლაპარაკების გზით მოგაწესრიგოთ და გადავჭრათ საერთაშორისო პრობლემები, უზრუნველვყოთ საყოველთაო უშიშროება, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა. საბჭოთა კავშირი აქტიურად იბრძვის იმისათვის, რომ დამყარდეს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა, გაფართოვდეს ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოს შორის, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი სისტემისა.

საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მშვიდობის დაცვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხში ინდოეთის ხალხები მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეთა პირველ რიგებში არიან. სწორეთ ინდოეთმა პირველმა გამოაცხადა პანჩა შილა — სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის ხუთი ცნობილი პრინციპი. **(მქუხარე ტაში).** ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი, რომლის სახელი მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთა ბრძოლასთან მშვიდობისათვის, ქვეყნების ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებისათვის. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ჯავაჰარლალ ნერუ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ თანაარსებობა ერთადერთი გონივრული შესაძლებლობაა ყველა სახელმწიფოსათვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩებოდა ერთი ალტერნატივა — ურთიერთ დანგრევა. ამის გამო მე მინდა სსრ კავშირის მთავრობის სახელით გამოვთქვა დრმა პატივისცემა ინდოეთის მთავრობის პოზიციისადმი, რომელიც მოითხოვს შეიარაღების შემცირებას, ატომური იარაღის აკრძალვას, ახალი ომის საფრთხის აღკვეთას, ყველა საერთაშორისო პრობლემის მოლაპარაკების გზით გადაჭრას, გამოდის სამხედრო აგრესიული ბლოკების შეკოწიწების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი კარგად იცნობს ინდოეთის მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, მშვიდობის განმტკიცება.

საბჭოთა ხალხი მიესალმება ინდოეთის წვლილს მშვიდობის საქმეში, აზიის გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგების საქმეში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად შეწყდა ომები კორეასა და ინდოჩინეთში. **(მქუხარე ტაში).** საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ეწევიან ერთობლივ ბრძოლას იმისათვის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ინდოეთის მთავრობა მხარს უჭერს ტაივანის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას ჩინელი ხალხის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ინდოეთი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი აზიისა და აფრიკის ქვეყნების პირველი, ბანდუნგის, კონფერენციისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისა და აზიისა და აფრიკის ხალხთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ინტერესების თანადამთხვევა საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში წინასწარ განსაზღვრავს ჩვენი სახელმწიფოების მეგობრულ თანამშრომლობას ბევრ საერთაშორისო საკითხში. ეს შეესაბამება ჩვენს საერთო დაინტერესებას იმით, რომ უზრუნველვყოთ საჭირო პირობები ჩვენი სახელმწიფოების აყვავებისათვის.

ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ ერთმანეთისაგან მეცნიერების დარგში. ინდური მეცნიერება ცნობილია უძველესი დროიდან. მან მსოფლიოს მისცა მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერები, რომლებმაც გაამდიდრეს თავიანთი აღმოჩენებით მსოფლიო მეცნიერება და კულტურა. ამ კარგ ტრადიციებს თქვენი მეცნიერება ამჟამადაც ინარჩუნებს.

ბევრი უცხოელი მეცნიერი ჩამოდის საბჭოთა კავშირში. თქვენი ქალაქიდანაც, რომელიც ინდოეთის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერული ცენტრია, ჩვენთან იყვნენ ინდოელი მეცნიერები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს საბჭოთა მეცნიერებს შეუძლიათ ბევრი რამ სასარგებლო გაიგონ ინდოეთში. მეცნიერული მიღწევების ასეთი გაცვლა, თანამშრომლობა მეცნიერებს დარგში მეტად სასარგებლოა როგორც თქვენი, ისე ჩვენი მეცნიერებისათვის.

თქვენს ქალაქში, რომელიც კულტურის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია, ცხოვრობს და მუშაობს, კეთილად, ბევრი ცნობილი მწერალი, ხელოვნების მოღვაწე, რომლებსაც იცნობენ და უყვართ საბჭოთა კავშირში. აქ არის ინდოეთის კინომრეწველობის ცენტრი. საბჭოთა კავშირის ეკრანებზე უჩვენებდნენ ბომბეიში გადაღებულ რამდენიმე ინდურ ფილმს. ეს ფილმები ძალიან მოეწონა საბჭოთა მაყურებელს. უკვე ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა დიდი როლი შეიძლება შეასრულოს თქვენმა ქალაქმა ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული გაცვლის განვითარებაში, რისთვისაც ჩვენ ფართო და ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობები მოგვეპოვება. ეს გაცვლა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების, ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ჩემი სიტყვის დასასრულს ნება მიბოძეთ წარმატება ვუსურვო თქვენს ქალაქსა და შტატს, თქვენს დიდ ხალხს. ეს არის სურვილი მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც უყვარს ინდოელი მეგობრები და აფასებს მათ. **(ტაში).** საბჭოთა ხალხი ყურადღებით და სიხარულით ადევნებს თვალყურს ინდოელი ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის, მის მეცადინეობას ააშენოს ახალი ცხოვრება, ხოლო ჩვენი დიდი ხალხების მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის მტკიცე ბურჯია. მაშ დავიცვათ და განვამტკიცოთ ეს დიადი მეგობრობა. **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

• • •

სტადიონზე კვლავ გაისმის ტაში. მიკროფონთან არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

ბატონებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან გულწრფელი მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ნერუს, ბომბეის შტატის ხელმძღვანელებს და ქალაქ ბომბეის მერს სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ გაგვიწიეს. **(ტაში).** ნება მიბოძეთ მადლობა გიძღვნათ ყველას, ვინც ამ მიტინგზე მობრძანდით, რათა ჩვენ შეგვხვედროდით. ნება მიბოძეთ მადლობა ვუძღვნა აგრეთვე ბომბეის ყველა მოქალაქეს, რომლებიც დღეს გამოვიდნენ ჩვენს შესახვედრად და რომლებიც, როგორც მათს თვალებში დავინახე, ესოდენ გულწრფელად გამოხატავდნენ თავიანთ გრძნობებს ჩვენდამი, საბჭოთა კავშირისადმი, ჩვენი ხალხისადმი. **(ხანგრძლივი ტაში).**

სიტყვები არა მყოფნის, რომლებითაც შეიძლებოდეს იმ გულთბილი გრძნობების გამოთქმა, რომლებითაც აღსავსეა ჩვენი გული ინდოელ ხალხთან მეგობრული შეხვედრის ამ დღეებში. **(ტაში).**

ჩვენ გვიხარია თქვენ მიერ მოპოვებული პირველი წარმატებანი, გისურვებთ შემდგომს უფრო დიდ წარმატებებს. გვიხარია, რომ ინდოეთის ხალხები განთავისუფლდნენ და მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა. **(ტაში).**

ჩვენს შორის არსებობს დიდი და ღრმა ურთიერთგაგება. ჩვენ თქვენთან ერთად ვიბრძვით მშვიდობისათვის. **(მქუხარე ტაში).** ამასთან დაკავშირებით მსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვა, თუ როგორ ესმით საბჭოთა ადამიანებს მშვიდობისათვის ბრძოლა. **(ტაში).**

ახლა რომ ყოველ ადამიანს, რომელიც დედამიწაზე ცხოვრობს, ვკითხოთ მშვიდობა სურს თუ ომი, იგი უსათუოდ იტყვის — მშვიდობაო! **(ტაში).** ისიც კი, ვინც გულში ომის მომხრეა. აშკარად ამას არ იტყვის. იგი ამჯობინებს განაცხადოს, რომ მშვიდობის მომხრეა. მან იცის, რომ ხალხებს ომი არა სურთ და რომ საშიშია აშკარად ემხრობოდე ომს. **(ტაში).**

ზოგი მათგანი, ვინც ახლა ამბობს, რომ მშვიდობას ემხრობა, რა თქმა უნდა, უარს არ იტყოდა უომრად მიეღწია იმ მიზნებისათვის, რომლებსაც ისინი ისახავენ. მათ სურთ ისეთი მშვიდობა, როცა ზოგიერთი ხალხი სხვებს ემორჩილება. მაგრამ ხალხებს ეს არა სურთ. ეს არის საქმის არსი და ეს არის ყველა უთანხმოების მიზეზი.

თქვენ იცით, რომ ჟენევაში ერთმანეთს შეხვდნენ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურები. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები. ბევრი ცდა იყო ნახმარი, რათა მიეღწიათ შეთანხმებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით შედეგები მეტად მცირეა. ეს იმიტომ ხდება, რომ სხვადასხვანაირად გვესმის ერთი და იგივე სიტყვები.

რაც შეეხება საბჭოთა ადამიანებს, ჩვენი გაგება ყველასათვის ნათელი და გასაგები. ჩვენ ვამბობთ: მშვიდობა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის! **(მქუხარე ტაში).** ჩვენ ვამბობთ: არ უნდა იყოს არავითარი ჩარევა სხვა სახელმწიფოთა და ხალხთა შინაგან წყობილებაში. **(მქუხარე ტაში).** მთავარი ეს არის.

ჩვენ ვიბრძვით ამ პრინციპებისათვის, რომლებიც ესოდენ კარგად არის ჩამოყალიბებული ყველასათვის ცნობილ დეკლარაციაში, რომელიც ინდოეთმა და ჩინეთმა გამოაცხადეს. **(ტაში).**

მე, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებს სიმართლე, რომ გაიმარჯვებს მშვიდობა. **(მქუხარე ტაში).** მაგრამ ამას უნდა მოხმარდეს ჩვენი ღონისძიებანი. საჭიროა არ შევასუსტოთ ბეჯითობა, არ შევასუსტოთ ჩვენი ღონისძიებანი მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. **(ტაში).**

ბატონებო, მეგობრებო! ჩვენ და თქვენ ბედნიერ ხანაში ვცხოვრობთ.

ჩვენ განვიცდით კაცობრიობის გაზაფხულს, როცა ისპობა კოლონიური მონობა და ძველისაკენ დაბრუნება აღარ შეიძლება.

ახლა ჩვენ ვმოგზაურობთ ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში, ვხვდებით ინდოელ ხალხს. და ჩვენ ვხედავთ, თუ რა მხურვალედ უბრწყინავთ თვალები თავისუფალ ადამიანებს, რომლებმაც მოიპოვეს თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობა და სურთ თვითონ იყვნენ თავიანთი სახელმწიფოს, თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი.

ადამიანები სხვადასხვაგვარად განიცდიან ამ შესანიშნავ მომენტს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ხალხებს, ისინი გულწრფელად მიესალმებიან ამ წარმატებებს. ჩვენ გვიხარია, რომ დიდი ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდი ჩინეთის ხალხებმა, რომლებმაც სამუდამოდ მოიშორეს იმპერიალისტთა უღელი და აშენებენ თავიანთ დიდ სახალხო სახელმწიფოს. ჩვენ გვიხარია, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს დიდი ინდოეთის ხალხებმა. ახლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმება აზიისა და აფრიკის ყველა ხალხი, ხოლო ეს ისეთი ოკეანის ტალღაა, რომელსაც ვერაფერი ვერ შეაჩერებს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხები მარადიული მეგობრობის ძმურ ხელს უწვდიან ინდოეთის ხალხებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მუდამ ვემხრობოდით და ვემხრობით იმას, რომ სახელმწიფოთა შინაური წყობილება თვით ხალხთა საქმეა. ჩვენ არ ვერევით და არასოდეს არ ჩავერევით სხვების საქმეებში. ჩვენ და თქვენ ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს, ამ ინტერესების შესახებ ჩვენ სრული ურთიერთგაგება გვაქვს. ამ ურთიერთ გაგების საფუძველზე, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე უნდა განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ამ დღეებში, როცა ჩვენ ჩავდივართ ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში, ხშირად მესმის შესანიშნავი სიტყვები, რომლებსაც სავსებით ვიზიარებ. ამ სიტყვებით მსურს დავამთავრო ჩემი დღევანდელი გამოსვლა: „ჰინდი რუსი ბჰაი ბჰაი!“ (ინდოელები და რუსები ძმები არიან!).

* * *

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბოლო სიტყვები ხანგრძლივ, მქუხარე ტაშს იწვევენ.

აქ ფიქრობენ, რომ საბჭოთა დელეგაციის შეხვედრაში დღეს ბომბეიში საერთო რიცხვით მონაწილეობა მიიღო ქალაქის სულ ცოტა მილიონნახევარმა მცხოვრებმა.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

24 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავს. სესიის მუშაობაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას იღებენ მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, დაღისტნის, ყაბარდოს, ჩრდილოეთ ოსეთის, ადიღეს, ჩერქეზეთის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლები.

სესიამ საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიზიდა. მას ესწრება მრავალი სტუმარი — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის პარტიული, საბჭოთა, მეცნიერი მუშაკები, ძველი ბოლშევიკები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე. იგი სესიის მონაწილეთ მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მათ.

პირველ სხდომაზე მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავს. სესიის მუშაობაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას იღებენ მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, დაღისტნის, ყაბარდოს, ჩრდილოეთ ოსეთის, ადიღეს, ჩერქეზეთის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლები.

სესიამ საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიზიდა. მას ესწრება მრავალი სტუმარი — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის პარტიული, საბჭოთა, მეცნიერი მუშაკები, ძველი ბოლშევიკები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე. იგი სესიის მონაწილეთ მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მათ.

პირველ სხდომაზე მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ გ. დ. ობიჩკინის მოხსენება „ბოლშევიკური პარტია მშრომელთა მასების რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელი“ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ა. ლ. სიდოროვის მოხსენება „დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება“.

სესია 5 დღეს გაგრძელდება. იგი მოისმენს და განიხილავს 15 მოხსენებას, რომლებიც აშუქებენ უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და ამბებს, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებასა და მოწყობასთან ამიერკავკასიასა და მთელ ჩვენს ქვეყანაში. სპეციალური მოხსენებები მიეძღვნება მუშათა მოძრაობის, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიაში აგრარული ურთიერთობის, ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლისადმი რსდშპ კავკასიის კავშირის ხელმძღვანელობის საკითხებს, მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის საკითხს და სხვ.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში გამართულია დიდი გამოფენა, მიძღვნილი 1905-1907 წლების რევოლუციისადმი. მისი ექსპონატები ასახავენ რუსეთის პირველი რევოლუციის უმნიშვნელოვანეს ამბებს საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში, მოგვითხრობენ თუ რა გმირულად იბრძოდნენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა მასები, რომელთაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობენ. (სამდესი).

მეჯი ყურადღება მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას

მცხეთის რაიონული პარტიული კონფერენცია

წლების განმავლობაში რაიონის საერთო მაჩვენებლები თითქმის ყოველთვის დაბალი იყო. სოფლის მეურნეობის არცერთ დარგს მნიშვნელოვანი წინსვლა არ ეტყობოდა. პარტიულ კონფერენციებზე რაიკომის მუშაობის ანგარიშის განხილვისას დელეგატები აკრიტიკებდნენ ჩამორჩენას, სახავდნენ ამ ჩამორჩენის გამოსწორების გზებს, მაგრამ საქმე წინ არ მიდიოდა.

ამჟამად ასე როდია. წელს მცხეთის რაიონში სოფლის მეურნეობის ყველა დარგი აღმავლობას განიცდის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მიღწეულია პირველი წარმატებანი. სერიოზული ყურადღება მიექცა სიმინდის, როგორც ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურის მოსავლიანობის გადიდების საქმეს. საშუალოდ რაიონში სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე მარცვლად 25-26 ცენტნერს აღწევს. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კი გაცილებით მეტი მიიღეს. სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 49 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. ასევე სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღეს სოფელ ერედის, მცხეთის, ძველი ქანდას, გალავნის კოლმეურნეობებმა. სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების ოსტატები ახლა მრავლად არიან რაიონის კოლმეურნეობებში.

პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იდგა ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგის — მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება. წელს რაიონმა პირველად შეასრულა წველადობის გეგმა. წველადობის გადიდების კარგი გამოცდილება შეიძინა სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადმა“. აქ ადგილობრივი ჯიშის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 1.140 კილოგრამი რძე.

მცხეთის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სეხნიაშვილმა და კამაჯში გამოსულმა დელეგატებმა ანალიზი გაუკეთეს პარტიული და სანეურნეო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, ყურადღება გაამახვილეს ნაკლოვანებებზე და დასახეს მათი გამოსწორების ღონისძიებანი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას, — თქვა მომხსენებელმა, — ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებამ. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაკები იმყოფებიან ადგილებზე და კოლმეურნეთა შორის სისტემატურად ეწევიან პარტიულ-პოლიტიკურ და მასობრივ-ორგანიზატორულ მუშაობას. მაგრამ რაიკომმა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ შეძლო მუშაობის ახლებურად მოწყობა.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, მაღალწველი გაცილებით მეტი იქნებოდა, საკოლმეურნეო წარმოებაში გაბედულად რომ ინერგებოდეს შრომის პროგრესული მეთოდები.

მცხეთის მტს-ს შესანიშნავი მოწინავე ტექნიკა აქვს. სამწუხაროდ, იგი მთელი სიმძლავრით როდია გამოყენებული. ამიტომ არის, რომ მტს-ი ვერ ასრულებს სახეების მიხედვით ყველა სამუშაოს. შესრულებული არ არის ბოსტნეულის ჩითილის კვადრატულად რგვის გეგმა. ზოგან სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის წესის დარღვევის გამო სწორი კვადრატები არ იქნა მიღებული. ამან შეუძლებელი გახადა ორივე მიმართულებით კულტივაციის ჩატარება. მტს-ს აქვს კომბოსტოს ასაღები კომბაინი და ნამჯის დამზადებელი მანქანა. მაგრამ ასეთი ძვირფასი ტექნიკა რატომღაც გამოყენებული არ არის. მტს-ის პარტიული ბიურო ამ სამარცხვინო ფაქტს ურიგდება. ეს პარტიის რაიკომსაც შეუმჩნეველი დარჩა.

დელეგატებმა ყურადღებით მოისმინეს სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის და სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარეების შ. პაპავაძისა და დ. ბედუკაძის სიტყვები. კონფერენციის მონაწილეებს მათ მოუთხრეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის თავიანთ გამოცდილებაზე. ამასთან მოითხოვეს რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება.

სოფელ ნიჩბისის კოლმეურნეობა რაიონში კვლავ ყველაზე ჩამორჩენილია. ახლა ამ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს პარტიის მოწოდებით სოფლად სამუშაოდ წასული ამხ. ფ. ფრუიძე. სწორი, კრიტიკული იყო მისი გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ მცხეთის მტს-ის ხელმძღვანელები და რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის სუსტად ეხმარება კოლმეურნეობის გაჯგეთას ჩამორჩენის გამოსწორებაში. მტს-ი კოლმეურნეობას სამუშაოებს დაგვიანებით უსრულებს და ამასთან ზოგჯერ უხარისხოდაც. კოლმეურნეობაში იყო სატრაქტორო ბრიგადის მიერ საშემოდგომო ხორბლის უხარისხოდ თესვის შემთხვევა.

— რესპუბლიკის უძველესი ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი, — განაცხადა ზაპესის პარტბიუროს მდივანმა გ. ქაბუნიძემ, — საქენერგოს სისტემაში მანქანა-დანადგარების სამძლავრეთა გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორად გამოვიდა. წყლის ნორმალური რეჟიმის დროს სადგურის კოლექტივი აღწევს საპროექტო სიმძლავრის 17 პროცენტით გადიდებას და ამ გზით ყოველთვ

საზამთრო საძოვრებზე მექანიზაციის გაუმჯობესებისათვის

საქართველოს მეცხოველეობის საბანქანო სადგური, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე — ჩორნი რინოკში მდებარეობს, ბრიგადებს უწევს ჩვენი რესპუბლიკის ექვსი რაიონის მომთაბარე მეცხვარეობის კოლმეურნეობებს.

შარშან სადგურმა სატრაქტორო სამუშაოების გეგმა 240 პროცენტით შეასრულა, ხოლო თივის აღებისა — 187 პროცენტით; დიდი სიძნელეების გადალახვა მოგვიხდა წელს. ფალეევიანი ზაფხულის შედეგად იძულებული გავხდით თივა აგვეღო 200 ჰექტრის დაშორებით — ცხვრის ადასარეკი ტრასის რაიონში. მართალია, ტექნიკის შორს გადასროლით გამოწვეული ხარჯი გავწიეთ, მაგრამ ეს ბნშვნელოვანი საქმე გაკეთდა. ტრასაზე ავიღეთ 3 ათას ტონაზე მეტი მალხარისხოვანი თივა, ბევრი თივა ადგილზევეთ აგრეთვე ზღვისპირა რაიონში. ამის შედეგად საკვების დაგროვების გეგმა, გასული წლის მარაგს მიმატებით 103 პროცენტით შესრულდა.

მექანიზატორებმა დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს ბინების შენებლობისათვის საჭირო მასალების აღებაზე. სადგურში დავდგით ხეტყის სახერხი მანქანა, სადაც ფერმებისა ოთხასამდე კუბური მეტრი ხე-ტყე დახერხეს, ტვირთზიდვის მიმდინარე წლის გეგმა 1 ოქტომბრისათვის 125 პროცენტით გავანაღდეთ.

შეკეთებულია 35 ტრაქტორი, მზად არის ლითონის 32 მარხილი, 6 თოვლსაწმენდი სამკუთხედი, ორღერძიანი ბისაბმელები, მიმდინარეობს რკინაბეტონის გეჯების დამზადება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ ერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს, ოველთვის როდი ვიყენებთ იმ დიდ შესაძლებლობას, რაც სადგურს მოეყოება. არის ტექნიკის მოცდენის შემთხვევები, მექანიზატორთა შრომის საყოფიერება დაბალია და სხვ.

ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ დაძლევისათვის აუცილებელია ზოგიერთი საკითხის მოგვარება. მართალია, სადგურის განკარგულებაშია უახლესი ტიპის იარაღ-მანქანები — ტრაქტორები, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ავტომანქანები, თვითმავალი სათიბები, ელექტროსაპარსავი აგრეგატები და მრავალი სახის მსუბუქი მანქანები, მაგრამ არ გვყოფნის სათადარიგო ნაწილები. მაგალითად, 12 ავტომანქანა ტექნიკურად სრულ წესრიგშია და მათ ვერ ვიყენებთ მხოლოდ საბურავების უქონლობის გამო. ავტოსატრაქტორო და სხვა ნაწილებს თბილისში ვიღებთ. თავისთავად ცხადია, ასეთ შორ მანძილზე ნაწილების მიღება-გადმოტანა დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან. ჩვენი აზრით, საჭიროა დაისვას საკითხი, რომ ჩორნი რინოკში გაიხსნას „გლავავტოტრაქტორსბიტის“ კანტორა, რომელიც ძოძორაგებდა არა მარტო ჩვენს სადგურს, არამედ დაღისტნისა და გროზნოს ოლქების ახლო რაიონების სადგურებსაც.

მოსაგვარებელია კადრების საკითხი. ჩვენს სადგურს შტატით გათვალისწინებული მუშაკების ნახევარიც კი არა ყავს, ამიტომ მექანიზატორების შეგროვება სეზონურად გვიხდება. წელს ადგილობრივი მოსახლეობიდან მოვამზადეთ 21 ტრაქტორისტი, 5 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, 7 აღმრიცხველ-გამწყობი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კადრებით სადგურის დაკომპლექტება შეიძლებოდა საქართველოდან ჩამოსული მუშაკებით, მაგრამ ამაში ხელს გვიშლის უბინაობა. სადგურს არა აქვს საცხოვრებელი სახლი. არა გვაქვს კანტორის შენობა, გვაკლია ტრაქტორების, ავტომანქანებისა და სხვა მანქანების შესანახი ფარდულები. ბევრჯერ დავაყენეთ ნაგებობებისათვის საჭირო თანხების გამოყოფის საკითხი, მაგრამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯერჯერობით დახმარება არ გაუწევია.

კადრების ხშირი ცვალებადობის მიზეზია ისიც, რომ მექანიზატორები დროზე ვერ იღებენ ნატურანაზღაურებას მათ მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე. ზოგიერთი რაიონის (ყაზბეგი, ახმეტა) კოლმეურნეობებს ჯერაც არ გაუსწორებიათ ანგარიში იმ ტრაქტორისტებისათვის, რომლებმაც შარშან თივის აღებაზე იმუშავეს. ამჟამად კოლმეურნეობებს ჩვენი სადგურის მექანიზატორების მიერ გამომუშავებული შრომადღეების ასანაზღაურებლად 194 ათას მანეთზე მეტი მართებთ.

თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, მუდმივი კადრების შენარჩუნება გაძნელდება. ვფიქრობთ, აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელი ორგანოები დაგვეხმარებიან ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში.

ჩვენი სადგური ემსახურება 88 კოლმეურნეობას, რომელთა საძოვრები განლაგებულია ჩვენგან 100-120 და ზოგჯერ 200 კილომეტრზე. ასეთ სიშორეზე წელიწადში რამდენჯერმე გვიხდება ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, ეს იწვევს დიდ ხარჯებს და მანქანების დამატებით რემონტს. ამიტომ აუცილებელია თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის და ლენინგორის რაიონების კოლმეურნეობათა საძოვრების ძირითად მასივებში აშენდეს საველე ბანაკები და ტექნიკის შესანახი ფარდულები.

ამ საქმეში უნდა დაგვეხმარონ როგორც კოლმეურნეობები, ისე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გონივრული იქნებოდა, თუ თვითეული კოლმეურნეობა საზამთრო საძოვრებზე ზაფხულობით მაინც მუდმივად იყოლიებს საკვებმოპოვების ბრიგადას, ამით საშუალება გვექნება უფრო გეგმიანად წარვმართოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. გარდა ამისა, კოლმეურნეობებიც შეამცირებენ იმ თანხებს, რაც ახლა ხშირად უყაირათოდ იხარჯება თივის აღებასა და ბინების მშენებლობაზე.

ზემოაღნიშნული საკითხების წარმატებით მოგვარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზამთრო საძოვრებზე მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, ჩვენს წინაშე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ი. ქავთარაძე,

ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის დირექტორი.

მოწინავეთა გამოცდილების დემონსტრაცია

საგარეჯოს რაიონის სახოფლო-სამეურნეო გამოფენის მიმზიდველად გაფორმებულ სტენდებზე, რომელთა რიცხვი 25-მდე აღწევს, ფართოდ არის წარმოდგენილი წარმატებანი მარცვლეულის, მევენახეობის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის დარგში.

რაიონის 16 კოლმეურნეობიდან გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 12-მა. მათ შორის არიან გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადი“, პატარძეულის ლენინის სახელობის, ნინოწმინდის სტალინის სახელობის, სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის, მანავის მოლოტოვის სახელობის, ახალსოფლის მალენკოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები, ასევე მუხროვანის მერძეველობის, მანავის მევენახეობისა და უდაბნოს საბჭოთა მეურნეობები, სართიჭალისა და საგარეჯოს მტს-ები, რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი.

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის, ნიადაგმცოდნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, ბოტანიკის ინსტიტუტების სტენდები. ცალკეა მეცხოველეობისა და მექანიზაციის განყოფილებები. აქ მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რეკორდსმენი ძროხები, ჯიშიანი ბუღა-მწარმოებლები, ცხვრები.

ექსკურსანტები სიამაყის გრძნობით ეცნობიან გამოფენის მაჩვენებლებს: მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.841 ლიტრის ნაცვლად 2.500 ლიტრი რძე მოწველეს, ხოლო ზოგიერთმა ჯიშიანმა ძროხამ 4.000 ლიტრამდე მოიწველა. სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე 62 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ამავე კოლმეურნეობის მერგოლურმა გ. ტაბატაძემ კი 4 ჰექტარზე 600 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ახალსოფლის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადამ, რომელსაც ე. ლაშქარაშვილი ხელმძღვანელობს, 44 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 40,5 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 18 ცენტნერისა. სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის“ მეღორეობის ფერმაში (გამგე გ. ოთარაშვილი) თვითეულ დედაღორზე 14 გოჭი მიიღეს.

გამოფენის გახსნის პირველსავე დღეს ექსკურსანტ კოლმეურნეებს ლექციები წაუკითხეს პროფესორებმა ვ. მენაბდემ და შ. ჭანიშვილმა თემაზე — „ვ. ი. მიჩურინი“ და „მინერალური სასუქების გამოყენება საგარეჯოს რაიონში“. აქვე კოლმეურნეებს უჩვენეს სასოფლო-სამეურნეო ხასიათის კინოფილმი.

გამოფენაზე ყოველდღიურად მრავალი დამთვალიერებელი მოდის. გამოფენა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს სს რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სტუდენტებმა.

ზ. ზელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი საცდელი საფუმიგაციო მანქანა

ციტრუსოვანთა ნარგავების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში დღემდე ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად ითვლება მათი ციანგაზით ფუმიგაცია. ეს მეთოდი ფართოდ დაინერგა საკოლმეურნეო წარმოებაში ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში. მარტო მიმდინარე წელს იგი გამოიყენეს 100 ათასი ძირი ციტრუსოვანთა ნარგავის დასამუშავებლად. მაგრამ ეს სამუშაო მეტად შრომატევადია, ამასთან ჯერჯერობით მას ხელით ასრულებენ.

ამას წინათ ბათუმის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ციტრუსოვანთა მექანიზებული ფუმიგაციისათვის მოეწყო ახალი საცდელი მანქანის ლაბორატორიულ-სამინდვრე გამოცდა. მანქანა კონსტრუირებულია საქართველოს სსრ სპეციალური სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომელთა მიერ. ახალ მანქანას „თკმ-1“ სულ სამი კაცი ემსახურება და ყოველდღიურად ამუშავებს 250-300 ძირ ციტრუსის ხეს.

მანქანის გამოცდაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების სპეციალისტები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები და სპეციალური სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლები.

ექსპერიმენტული მანქანის შესწავლა გრძელდება. გამოცდამ გამოავლინა ახალი მანქანის მთელი რიგი დადებითი თვისებები.

აგრონომი ვ. მამიკონიანი.

(გაზეთი „საბჭოთა აჭარა“).

საკოლმეურნეო სოფელი კეთილმოწყობილი ხდება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). წლითიწლობით იცვლის სახეს სოფელი ინგირი. უკანასკნელ წლებში აქ ბევრი რამ გაკეთდა. სოფლის მშვენებას წარმოადგენს ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკა, რომელიც სისტემატურად ზრდის ჩაის მზა პროდუქციის გამოშვებას. სოფელი დამშვენებულია ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შენობებითა და კოლმეურნეთა სახლებით. კოლმეურნეთა კარმიდამო გაჩირაღდნებულია ელჩის ნათურებით, გაყვანილია რადიო, ტელეფონი. მშრომელებს მომსახურებას უწევენ საბავშვო ბაღა, სამედიცინო პუნქტი, სამკითხველო და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა სოფლის კულტურის სახლი, რომელიც აშენდა კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდის სახსრებით.



კადრი ფილმიდან „ცისკარა“.

„ცისკარა“

ეკრანზე მოჩანს გვალვისაგან გადაშენებული ველები და მთაგორები. ულმობლად დანავარდობს ცხელი ქარი და ბტევრში ხვევს ყველაფერს. კვნესის მუსიკა. სადღაც შორს ოფლში გაღვრილი, დაქანცული გუთნისდედა ბიაყვით კვალს, შიპყვება და ღიღინებს ნაღვლიან კილოზე. ხარები ზანტად სწევენ მძიმე ჭაპანს... უცებ ბტევრი შავ ღრუბლებად ჩამოაწვება მთებს, მერე ხეობებს, შემოიკრება ავტისაგან დახეთქილ ველმინდვრებზე. გამოჩნდებიან გრძნეულთა ცხენოსნები, ისინი სპობენ ხეხილს, ნათელებს, მიერეკებიან საქონელს, სწვავენ სოფლებს, ქალაქებს. ისმის დიქტორის ხმა: „იყო და არა იყო რა!“...

ასე იწყება ფილმი „ცისკარა“*, რომელიც ახლახან ეკრანზე გამოუშვა თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა“.

კინოფილმ „ცისკარას“, ისევე როგორც ჩვენი მაყურებლისათვის ცნობილ ბალეტ „სინათლეს“, საფუძვლად უდევს კეთილის ბრძოლა ბოროტის წინააღმდეგ. თუ პირველ შემთხვევაში კეთილი ძალები იბრძვიან სინათლისათვის, „ცისკარაში“ ბრძოლის ობიექტი წყალია, რომელიც ქვესკნელში გაბატონებულმა გრძნეულთა მეფემ ხალხს დაუშრო.

ფილმში იბრძვის ორი ბანაკი — მართალი ხალხი, მისი შეუპოვარი, გულადი, გონიერი გმირები და ბოროტი გრძნეული, თავისი ქვეშევრდომებით. ფილმში გადმოცემულია ამ ბრძოლის ეპიზოდები.

ეკრანზე გამოჩნდება პატარა ოთახი. აკვანში ვეფხვის ტყაეკვეშ სძინავს პატარას. ისმის დედის „ნანინა“. არწევენ აკვანს. იღვიძებს პატარა გმირი. მასთან ერთად იღვიძებს ბუნება, მაღლა იწევს კვამლისაგან გამურული ჭერი, ფანჯარაში მზის სხივები შემოიჭრებიან, ეზოში ხეები ტოტებს ამაყად არხევენ, მოჩუხჩუხებს წყაროს წყალი. ამ კადრებში მაყურებელი უსიტყვოდ კითხულობს და ხედავს ხალხის იმედის ნაპერწკალს, რომელიც უნდა გაღვივდეს და გადაიქცეს უძლეველ ცეცხლად, რათა ამოსწვას ბოროტება — გრძნეულთა ჯოჯოხეთური ბუნაგი.

— კარის ზღურბლზე გამოჩნდება მამა, გმირი, ხალხის მეთაური გრძნეულთა ლაშქართან უთანასწორო ბრძოლაში დაჭრილი. ის ძლივს მიაღწევს აკვნამდე, რომ სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ დატკბეს შვილთან ალერსით.

გმირის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას ფილმის დამდგმელები ცვლიან ახალი კადრებით. რომლებშიც მაყურებელი ხედავს უკვე ჭაბუკ ცისკარას. ამ მომენტიდან იწყება ფილმის ძირითადი ნაწილი.

რამდენადაც მიმზიდველად არის გაკეთებული ფილმის შესავალი, იმდენად მკრთალი და მოდუნებულია შემდგომი კადრები. სცენარის ავტორი და რეჟისორი რატომღაც თანდათან ანელებენ ფილმის რიტმს, ვერ ქმნიან მძაფრ სიტუაციებს, არ ყოფნით შემოქმედებითი ფანტაზია ქართული ზღაპრის მრავალფეროვნების გადმოსაცემად.

როგორც აღვნიშნეთ, ფილმში ერთმანეთისადმი დაპირისპირებულია ორი ძალა — ბოროტი და კეთილი. პირველს მეთაურობს გრძნეულთა მეფე, მეორეს ცისკარა.

გრძნეულთა მეფის — ამ ბოროტი, ადამიანთა სისხლისმსმელი მხეცის სახე დამაჯერებლად წარმოუდგინა მაყურებელს ნიჭიერმა მსახიობმა გ. შავგულიძემ. მისი მიხრა-მოხრა, სიცილი, ხელების მოძრაობა — ყველაფერი დაქვემდებარებულია ერთ მიზანს — ხაზი გაესვას ბოროტი ძალის შინაგან ბუნებას, მის ვერაგობასა და კაცთმოძულეობას.

სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის ფილმის მთავარი გმირის ცისკარას როლის შემსრულებელზე. როცა თ. ტოგონიძე (ცისკარა) უზარმაზარ ლოდს ასწევს ან დედას ხმალს გამოართმევს და ეამბორება, მზიას უცდის თუ კლდეებში დინჯად მიიკვლევს გზას, გარეგნულად ყველგან ისეთი კეთილი გმირია, როგორიც ხალხს წარმოუდგენია ზღაპრებში, მაგრამ როგორც კი მისი გმირობა შინაგანმა ემოციებმა უნდა გამოავლინონ, მსახიობი სუსტია, მისი მოქმედება მოკლებულია დამაჯერებლობას. საჭირო იყო ამ როლის დახვეწისათვის რეჟისორს მეტი ემუშავნა ახალგაზრდა მსახიობთან.

მაყურებელზე უთუოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ბადრის როლის შემსრულებელი გ. აბაშიძე. ამ გმირის სახე ყველა მომენტში დამაჯერებელია. მისი სიტყვა და მოქმედება ორგანულად შერწყმულია ერთმანეთთან და ხელს უწყობს მოვლენათა თანდათან განვითარებას, ფილმის მიზნის გახსნასა და გადაწყვეტას.

სრულყოფილად ვერ ასრულებს მზიას როლს მსახიობი დ. ჭიჭინაძე. მან მკრთალად უჩვენა მაყურებელს უმწეოდ მიჯნურის, გულკეთილი, ხალხის მოსიყვარულე, კეთილისათვის თავდადებული ქალიშვილის მხატვრული სახე.

ფილმში ყურადღებას იქცევს კადრები, სადაც დახატულია თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის განწყობილება, ნაჩვენებია მშრომელი ხალხის სულიერი სიფაქიზე, მათი სისპეტაკე და ერთიანობა.

დამდგმელსა და ოპერატორებს კარგად აქვთ გადაწყვეტილი მომენტები, რომლებიც გადმოგვცემენ გრძნეულთა სამეფოს ბოროტებას. ...აგერ მოსჩქეფს წყაროს წყალი. ეკრანზეა ლურჯი ცა და მწვანე დედამიწა, ირხევიან მცენარეთა აყვავებული ტოტები. ამ გარემოში ადამიანები ლადად მოძრაობენ. უცებ მუსიკა ტონს იცვლის, წყარო შრება, ცა მუქდება, დედამიწაზე ბალახები ხმება, ხეებს ფოთლები სცვივა, ყვავილები ქარს მიაქვს, ხალხი წყურვილისაგან სულს ღაფავს. ამ უბედურების ჩამდენი გრძნეულთა მეფე ხედავს ყველაფერს, ხედავს და ხარხარებს...

ასეთი კარგი კადრი ფილმში ერთეული როდია. მაყურებელს უთუოდ დაამახსოვრდება გაქვავებული ქალაქი. ამაღელვებელია სურათი, როცა მზიას ქანდაკება ცისკარას გამოესაუბრება და საყვარელ სატრფოს მეგზურად ობოლ ცრემლს გააყოლებს, რათა სიბნელეში ქალაქიდან უვნებლად გავიდეს.

ფილმში ბევრი რამ არის სადავო. მაგალითად, ბოროტთან ბრძოლაში კეთილი გმირი მეტად ინდივიდუალურად მოქმედებს, რატომღაც ხალხისაგან იზოლირებულია. საერთოდ ფილმში, გარდა შესავალი ნაწილისა, ხალხი ნაჩვენებია მკრთალად, მოდუნებულად, გლოვის ან ზეიმის დროს. ჩვენი აზრით, ფილმში მეტად უნდა იგრძნობოდეს ის ფაქტი, რომ გმირებს, რომლებიც ბოროტებასთან საბრძოლველად მიდიან, ხალხში ღრმად აქვთ ფესვი გადგმული, რომ მათ ხალხი აძლევს ძალასა და ძლიერებას მოიპოვონ გამარჯვება უთანასწორო ბრძოლაში.

არადამაჯერებელია აგრეთვე ზოგიერთი მომენტი ცისკარას ბრძოლისა გრძნეულებთან და განსაკუთრებით მათ მეფესთან. და, რაც მთავარია, გრძნეულთა სამეფოს ჩვენების დროს იგრძნობა ფერების სიჭარბე. დარბაზი, გრძნეულთა და მათი ქვეშევრდომების ტანისამოსი ისეა აჭრელებული, რომ მაყურებელს ძირითადი სახეები და მოქმედების სიმძაფრე მეედველობიდან ეკარგება.

განსაკუთრებით სუსტია ცეკვა გრძნეულთა მეფის სასახლეში. იგი ამოვარდნილია ზღაპრის ბუნებრივი სტილიდან და ამდენად მოკლებულია მხატვრულ სიმართლეს. რაც შეეხება ნუსიკას — არა თუ ხელს უწყობს ფილმის წარმატებას, არამედ ზოგჯერ ხელსაც კი უშლის გმირთა ცალკეული ხასიათების გახსნას.

ქართულ ხალხურ თქმებში და ზღაპრებში დევისა და ადამიანის დამოკიდებულება მეტად ფრთხილი და გამოზომილია, ყოველთვის მას რაღაც თავისებური სილამაზე და გონიერება ახლავს. სჩანს ეს გაუთვალისწინებიათ ფილმის ავტორებს და კადრები, რომლებიც მიღებულია ცისკარას მიერ ეზარმაზარ ქვევრში მობინადრე სამი დევის მოტყუებისადმი, მხატვრული ოსტატობით არის გადაწყვეტილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომბინირებული გადაღების დამაჯერებლობა. მაგრამ ასე არ ითქმის იმ კადრებზე, რომლებიც დევის სოფელში გამოჩენისადმია მიძღვნილი. რეჟისორსა და ოპერატორებს აუცილებლად სხვა გარემოში უნდა ეჩვენებინათ ეს სურათი. აქ დევი შემოყვანილია უხეშად. ეს ვეება, ადამიანის სახის არსება მამასახლისივით დგას ამაღლებულ ადგილას, ხალხი შეიკრებია და მოითხოვს ხარკს გრძნეულთა მეფისათვის.

რამდენიმე სიტყვა ფინალის შესახებ. ფილმი მთავრდება გრძნეულთა მეფის დამარცხებით და ცისკარას გამარჯვებით. კვლავ აყვავდა მინდორველი, მთა და ხეობები, კვლავ ამწვანდა ყანები და გალურჯდა ცა, წყაროში ისევ მოსჩქეფს წყალი. ხალხი ზეიმობს გამარჯვებას.

უკეთესი იქნებოდა ეს გამარჯვება, რომელიც ფილმში პლაკატს უფრო ჰგავს, ცოცხალ სურათებში ეჩვენებინათ. აჯობებდა ცისკარა ჯადოსნური სალამურით შესულიყო ქალაქში და თვითონ გაეცოცხლებინა გრძნეულთა მეფის მიერ გაქვავებული ადამიანები. შემდეგ ხალხთან ერთად გასულიყო სოფელში, ქალაქში და ასე ეზეიმნათ სიცოცხლისა და სიყვარულის გამარჯვება.

მაშინ უფრო მკაფიოდ მივიდოდა მაყურებლამდე დიქტორის უკანასკნელი სიტყვები: „ჭირი იქა, ლხინი აქა...“

ეს ნაკლოვანებანი ერთგვარად ამცირებენ ფილმის ღირსებას. მაგრამ, რამდენადაც ამ ფილმში ძირითადად გადაწყვეტილია ზღაპრის იდეა — კეთილი ამარცხებს ბოროტს, ამდენად „ცისკარას“ უთუოდ აქვს ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჩვენი პოზარდი თაობისათვის.

ბ. თათარიშვილი.

* „ცისკარა“ — სცენარის ავტორი კ. მიქაბერიძე, დამდგმელი — რეჟისორი ს. ჭელიძე, ოპერატორები: ბ. ბურავლიოვი და გ. უსეინაშვილი, მხატვრები: ფ. ლაპიაშვილი და ი. სუმბათაშვილი, რეჟისორი კ. გრძელიშვილი, კომპოზიტორი ბ. ლადიძე.

ჩვენი კაღენდარი

გეოგრაფიტაბრიზნული მეცნიერების დაუღალავი მოღვაწე

საბჭოთა საზოგადოებრიობა სიყვარულით აღნიშნავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრის გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილის დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს.



პროფ. ა. ნ. ჯავახიშვილი მთელ თავის შეგნებულ შრომას უკავშირებდა და უკავშირებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობასა და კულტურული წინსვლის საქმეს. იგი საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი და ორგანიზატორია; მისი დაუღალავი შრომისა და დაუშრეტელი ენერგიის შედეგია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიული მეცნიერების მაღალ დონეზე დაყენება.

ჯერ კიდევ მოსკოვში მუშაობის დროს თავისი გამოკვლევები ა. ჯავახიშვილმა ძირითადად საქართველოს და კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიის საკითხებს მიუძღვნა. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა მთელი რიგი ანთროპოლოგიური შრომები.

ა. ჯავახიშვილი 1917 წელს თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ ექსტრაორდინარული პროფესორის თანამდებობაზე. ა. ჯავახიშვილი მონაწილეობას იღებდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში.

1920 წლიდან, როცა ა. ჯავახიშვილი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის გამგე-პროფესორად, იწყება მისი ნაყოფიერი მუშაობა გეოგრაფიის სხვადასხვა დარგში. ყველაზე მეტი ღვაწლი ა. ჯავახიშვილს საქართველოს გეომორფოლოგიის საკითხების დამუშავებაში მიუძღვის. მან პირველმა, 1926 წელს, შეადგინა საუნივერსიტეტო ქართული სახელმძღვანელო საქართველოს გეოგრაფიაში (გეომორფოლოგია).

საქართველოს ცალკეული გეომორფოლოგიური მხარეების რელიეფის შესწავლას ა. ჯავახიშვილი უძღვნის მეცნიერულ ნაშრომს „საქართველოს სსრ გეომორფოლოგიური რაიონები“, რომელიც 1947 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა. შრომაში მან მოგვცა კერძო გეომორფოლოგიის ამოცანების მკაფიო განსაზღვრა და საქართველოს მორფოლოგიური დახასიათება ტიპიური გეომორფოლოგიური რაიონ-ლანდშაფტების დადგენის გზით.

ამა თუ იმ რაიონში რელიეფის გეომორფოლოგიური ტიპების დადგენისა და საერთოდ ყოველგვარი გეომორფოლოგიური კვლევის აუცილებელ წანამძღვარს რელიეფის ფორმებისა და ტიპების სწორ პრინციპებზე დაყრდნობილი კლასიფიკაცია წარმოადგენს. ეს უალრესად რთული ზოგადგეომორფოლოგიური საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელია. მეცნიერებაში ამ დიდი ხარვეზის შევსების თავისებური ცდა ა. ჯავახიშვილმაც მოახდინა. მისი კლასიფიკაცია ორიგინალობით გამოირჩევა.

ა. ჯავახიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოიღო რელიეფის ფორმებისა და ტიპების კლასიფიკაციის სპეციალური კურსი და დაამუშავა შესაფერისი პროგრამა.

გეომორფოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და ჯერ გადაუჭრელი საკითხია გეომორფოლოგიური კარტირება. ა. ჯავახიშვილმა ამ საქმეშიც შეიტანა თავისი წვლილი: მონაწილეობდა ამ საკითხზე მოსკოვში და თბილისში მოწვეულ კონფერენციებში, შეიმუშავა რუკის შინაარსის ერთ-ერთი ვარიანტი.

ა. ჯავახიშვილმა, პირველად საბჭოთა გეომორფოლოგიაში, ღრმამეცნიერულად დაამუშავა რელიეფის დანაწევრების სიხშირის, სიღრმისა და ინტენსივობის საკითხი. იგი უყურადღებოდ არ ტოვებს გეოგრაფიული მეცნიერების ისეთ დარგს, როგორიც არის ეკონომიური გეოგრაფია. ამ დარგში განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიული დარაიონების ცდა, რაც მან მოახდინა.

მეცნიერმა დიდი შრომა გასწია ქართული კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარებისათვის.

ა. ჯავახიშვილი არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების ინიციატორი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების ყველა ყრილობის მონაწილე და 1955 წლის თებერვლიდან ამ საზოგადოების საპატიო წევრი.

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ა. ჯავახიშვილის ღვაწლი. 1944 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი ჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით.

ა. ჯავახიშვილი დღესაც დაუღალავად განაგრძობს მოღვაწეობას საბჭოთა გეოგრაფიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

ს. ნემანიშვილი,

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია

მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი დინ ბან სუ.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე პროფესორი ა. ნ. ლავრიშევი და სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საკდესი).

ინგლისელი მეცნიერები სსრ კავშირში მგზავრობის შესახებ

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში მგზავრობიდან გუშინ ლონდონში დაბრუნდა ატომის ენერგიის დარგში ინგლისელ სპეციალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სამეფო საზოგადოების წევრი, ჰარუელის ატომის სამეცნიერო-საკვლევი სადგურის დირექტორის მოადგილე დოქტორი ბ. ფ. ჯ. შონლანდი.

ლონდონის აეროპორტში დოქტორმა შონლანდმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ინგლისელ მეცნიერებზე „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამუშაოთა მაღალმა დონემ“ მთელ რიგ საბჭოთა სამეცნიერო ლაბორატორიებში, რომლებიც მათ დაათვალიერეს. „უმაღლეს გაანთლებას, — თქვა შემდეგ შონლანდმა, — საბჭოთა კავშირში დიდ ყურადღებას აქცევენ. მეცნიერ მუშაკთა და ინჟინერთა მომზადების შესაძლებლობანი, რომლებიც ისედაც უკვე მნიშვნელოვანია, იქ სწრაფად ფართოვდება. ინფორმაცია, რომელიც ჩვენ ამ საკითხებზე მივიღეთ, როგორც იმედი გვაქვს, ძვირფასი იქნება იმათთვის, ვინც მუშაობს ინგლისში განათლების ანალოგიურ პრობლემებზე“.

დოქტორმა შონლანდმა დასძინა, რომ, როცა ინგლისელი მეცნიერები საბჭოთა კავშირში ჩავიდნენ, მათ ჰკითხეს, რისი ნახვა გსურთო, და ყველა მათი სურვილი დაკმაყოფილებულ იქნა. „ყველგან, — განაცხადა შონლანდმა, — ჩვენ დიდი თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ“.

საბჭოთა კავშირს გადაეცა ფინეთში აგებული ყინულმჭრელი

ჰელსინკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჰელსინკში ჰიტლერიტის ვერფში, რომელიც კონცერნ „ვიორტსილიას“ ეკუთვნის, საბჭოთა კავშირის შეკვეთით აგეს ყინულმჭრელი „კაპიტანი ვორონინი“. გუშინ ამ ვერფში გაიმართა ყინულმჭრელზე საბჭოთა კავშირის ალმის აღმართვის ცერემონიის საბჭოთა კავშირისათვის მის გადაცემასთან დაკავშირებით.

ხვალ ყინულმჭრელი „კაპიტანი ვორონინი“ ჰელსინკის ნავსადგურიდან ლენინგრადს გაემართება.

საბჭოთა კავშირს გადაეცა დანიაში აგებული რეფრიჟერატორი

კოპენჰაგენი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ვერფ „ბურმეისტერ ოგ ვაინში“ გაიმართა საბჭოთა კავშირისათვის აგებულ № 11 რეფრიჟერატორზე ალმის აღმართვის ცერემონია.

ცერემონიას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი, სავაჭრო წარმომადგენელი ი. ტ. კოჩეროვი, საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე ფირმის დირექციის წარმომადგენლები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშები.

სირიის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან იუწყება, გუშინ სირიის პრემიერ-მინისტრმა საად ჰაზმ კვლავ დაადასტურა, რომ სირიას არა აქვს არავითარი განზრახვა შევიდეს ბაღდადის პაქტში. მან დასძინა, რომ სირიამ უკვე დიდი ხანია განაცხადა, რომ არ შეგა ამ პაქტში და რომ „არ მიმხდარა და ალბათ არ მოხდება არაფერი ისეთი, რამაც შეიძლება გვაიძულოს შევცვალოთ ეს ჩვენი გადაწყვეტილება“.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჰაზის ეს განცხადება პასუხია გუშინ დამთავრებული ბაღდადის თათბირის მონაწილე ქვეყნების წინადადებაზე ბაღდადის პაქტის ფარგლების გაფართოების შესახებ.

ინდოეთის პრესა ინდოეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ

დელი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთი იუწყება ნ. ა. ბულგანინის და ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ბჰაკრა-ნანგალის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობის დათვალიერების შესახებ, აგრეთვე განაგრძობს პარლამენტში მათი გამოსვლების კომენტირებას.

აღნიშნავს რა მოწინავე სტატიაში, რომ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები პარლამენტში კარგად მიიღეს, გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ წერს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა შეიძლება მტკიცედ და საიმედოდ გადაიხაროს მშვიდობისაკენ, თუ ორი ისეთი ქვეყანა, როგორიც არიან ინდოეთი და საბჭოთა კავშირი, რომლებიც ასე არ გვანან ერთმანეთს, გულწრფელად დაიკავებენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.

გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ მოწინავეში წერს: „ინდოეთის ხალხი მიესალმება იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ლიდერებს ესმით ჩვენი ქვეყნის ცხოვრების წესი და მიაჩნიათ, რომ ურთიერთპატივისცემის ამ საფუძველზე ორ ხალხს შორის შეიძლება დამყარდეს მტკიცე მეგობრობა.

თავის მიმართვაში პარლამენტისადმი 21 ნოემბერს მარშალმა ბულგანინმა დაადასტურა, რომ მას სავსებით ესმის და გულწრფელად თანაუგრძნობს ინდოეთის მიღწევებს, რომელიც ესწრაფვის თავისი თავისუფლების განმტკიცებას და ხელს უწყობს საერთო მიზანს — უზრუნველყოს ხალხებისათვის „დამშვიდებული შრომა და მშვიდობიანი ცხოვრების სიხარული“.

გაზეთი „სტეიტსმენი“ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ინდოეთის პარლამენტში ახასიათებს როგორც „თვალსაჩინო მოვლენას“. მოჰყავს რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ „რაც უფრო კარგად გავიცნობთ ჩვენ ერთიმეორეს და დავეხმარებით ერთმანეთს, მით უფრო მტკიცე იქნება ჩვენი მეგობრობა“, გაზეთი განაგრძობს: „ინდოეთისა და რუსეთისათვის ასეთი კონტაქტების დამყარება უფრო აღვილია, რადგან, — როგორც არაერთხელ აღინიშნა ამ ვიზიტის დროს, — ორ ხალხს შორის არ ყოფილა კონფლიქტები. უფრო მეტიც, ორივე ხალხი ფართო მასშტაბით ახორციელებს ეკონომიურ რეკონსტრუქციას, რომლის დამთავრებისათვის მშვიდობა მინიმალური მოთხოვნაა“.

„იმას, რომ ინდოეთსა და რუსეთს აკავშირებს მეგობრობა, — აღნიშნავს გაზეთი, — მოწმობს სწორედ ის ფაქტი, რომ ახლა ორი გამოჩენილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე ეწვია ამ ქვეყანას.

თანაუგრძნობს რა ინდოეთის მეცადინეობას, რომლის მიზანია ინდიელი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, რუსი ხალხი, როგორც მათ დაადასტურეს, მზად არის გაუზიაროს მას თავისი გამოცდილება ეკონომიკისა და მეცნიერულ აღმოჩენათა დარგში და შესაბამისად გაფართოოს ახლანდელი თანამშრომლობა. მეცნიერულ აღმოჩენათა ამ საუკუნეში ასეთი ურთიერთგაცვლა არის აგრეთვე დამაკავშირებელი საერთაშორისო ძალა, რომელიც რწმენას უნერგავს კეთილი ნების ადამიანებს, რომ კაცობრიობას მოელის უფრო ბედნიერი მომავალი“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე დამთავრდა საერთო დისკუსია კორეის საკითხზე.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის წარმომადგენელმა კ. მენონმა. შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენებას, მენონმა აღნიშნა, რომ ამ კომისიის საქმიანობა ვრცელდება მარტო სამხრეთ კორეაზე და რომ ამ კომისიის მთელ მოხსენებას საფუძვლად უდევს ინფორმაცია, მიღებული სამხრეთ კორეის ხელისუფალთაგან და „გაერთიანებული ერების სარდლობისაგან“, ე. ი. ამერიკის სარდლობისაგან.

იმ მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ კორეის გაერთიანებას თითქოს ის აფერხებს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არ თანხმდება „თავისუფალ არჩევნებზე“, მენონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილად უთანხმოებაა არა თავისუფალი არჩევნების საკითხში, არამედ არჩევნებისადმი მეთვალყურეობის მექანიზმის გამო. ის აბათილებდა ამერიკის შეერთებული შტატების იმ პოზიციას, რომ კორეის საკითხის გადაჭრა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ისეთი პირობების მიღების გზით, რომლებსაც ასაღებენ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებად“. მენონმა მოაგონა სხდომას, რომ ივნისის 1954 წლის თათბირზე არავის არ მოუთხოვია, რომ არჩევნები მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით, იქ ლაპარაკი იყო მიუკერძებელ საერთაშორისო ორგანოზე.

მენონმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შენარჩუნებულ იქნას და შესრულდეს შეთანხმება დაზავების შესახებ და დაგმო ლისინმანელთა აგრესიული განცხადებანი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამასთან კომიტეტის წევრთა უურადღება მიაპყრო იმას, რომ სამხრეთ კორეის ხელისუფლები აშკარად მოითხოვენ დაზავების ჩაშლას და იარაღის ძალით კორეის გაერთიანებას. მოაგონა რა სხდომას ლისინმანელთა მთავრობის ულტიმატუმი კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელთა კომისიის წევრებისადმი, რომ ისინი სამხრეთ კორეიდან წასულიყვნენ და გაიხსენა რა მრავალი პროვოკაცია ამ კომისიის წინააღმდეგ, მენონმა გაანაცხადა, რომ ყოველივე ეს არ ეთანხმება მტკიცებას, თითქოს სამხრეთ კორეაში იყოს პირობები ნამდვილად თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად. შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის მტკიცებას, თითქოს ჩრდილოეთ კორეას დაერღვიოს შეთანხმება დაზავების შესახებ, მენონმა აღნიშნა იმის ფაქტები, რომ ეს შეთანხმება დაარღვია სამხრეთმა კორეამ. მან მოიყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა კომისიის მოხსენების ადგილები, მოხსენებისა, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხრეთ კორეის მთავრობა გამოდიოდა აღნიშნული შეთანხმების წინააღმდეგ და მოითხოვდა, რომ ნეიტრალური ქვეყნების კომისიას დაეტოვებინა სამხრეთი კორეა.

მენონმა ის აზრი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოუწოდოს ორივე მხარეს კორეაში კონტაქტი დაამყარონ ურთიერთშორის. მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს ხელი აიღონ ულტიმატუმის ენაზე და ამის ცდებზე, რომ კორეის საკითხი გადაიჭრას ერთი მხარის ნების მეორე მხარისათვის თავსმოხვევის გზით. მან ხაზი გაუსვა, რომ ინდოეთის დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგია სწორედ იმიტომ, რომ იგი ცალმხრივი გადაწყვეტის ასეთ ტენდენციას ასახავს.

თუმცა მენონის გამოსვლით ამოიწურა ორატორთა სია, მაგრამ ლისინმანელთა მთავრობის წარმომადგენელმა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა სხვა დელეგატების შენიშვნებზე პასუხის გაცემის სანაცვლოდ ახალი ვრცელი სიტყვები წარმოთქვეს. ამასთან სამხრეთ კორეის ხელისუფალთა წარმომადგენელი ცდილობდა სამხრეთ კორეის ხელისუფალთა მოქმედება, რომლის მიზანია დაზავების ჩაშლა, იმით გაემართლებინა, რომ მისი მთავრობა თავიდანვე დაზავების წინააღმდეგი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ბლაუშტეინმა გაიმეორა თავისი ცილისმწამებლური მონაჭორი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. მან აგრეთვე სცადა გაემართლებინა სამხრეთ კორეის ხელისუფალთა პროვოკაციული მოქმედება კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელთა კომისიის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ფაქტი დაადასტურა თვითონ კომისიამ.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხმ, რომელმაც პასუხი გასცა ამერიკის დელეგატს, ცხადყო, რომ იგი ამახინჯებს ნამდვილ ფაქტებს, რომლებიც გამოარკვია პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და შვეიცარიის წარმომადგენელთაგან შემდგარმა ნეიტრალური ქვეყნების კომისიამ. კაც-სუხმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოზიცია, რომელიც დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, და მისი გამოსვლების უხეში ტონი კიდევ უფრო აძნელებს კორეის საკითხის გადაჭრას.

სხდომის დასასრულს ამერიკის დელეგატს უკანასკნელი სიტყვის გამო შენიშვნა გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა. მან პირველი კომიტეტის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ყველა განცხადება, რომლებიც სამჯერ გააკეთა ამერიკის დელეგატმა და ორჯერ სამხრეთ კორეის წარმომადგენელმა, წარმოითქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა დაუსწრებლად.

როგორც ჩანს, თქვა ი. ა. მალიკმა, ემზადებოდა რა ამგვარი ცილისმწამებლური მონაჭორისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ამჯობინა ეს ბრალდება წარმოეთქვა მაშინ, როცა იქ არ იყვნენ ისინი, ვის წინააღმდეგაც იგი ამ ბრალდებას აყენებს. მისთვის ასე უფრო მოხერხებულია, მაგრამ ამით მისი განცხადება არც დამაჯერებელი ხდება, არც სიმართლეს ჰგავს.

დამთავრდა ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნების პრემიერ-მინისტრების თათბირი

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ბაღდადიდან იუწყებიან, გუშინ საღამოს იქ დამთავრდა ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნების — თურქეთის, ერაყის, პაკისტანის, ინგლისისა და ირანის პრემიერ-მინისტრების თათბირი.

თათბირის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომლიდანაც ჩანს, რომ თათბირის შედეგად გაფორმეს ბაღდადის პაქტის ორგანიზაციის სტრუქტურა. ამ ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო პაქტის მონაწილე ქვეყნების მინისტრების მუდმივი საბჭო. საბჭო, რომლის ადგილსამყოფელია ბაღდადი, შეიკრიბება, რათა განიხილოს „ყოველგვარი პრობლემა — პოლიტიკური, ეკონომიური ან სამხედრო,— რომელიც აინტერესებს ხუთ მთავრობას“. შექმნილია აგრეთვე ორგანიზაციის მუდმივი სამდივნო, რომლის ადგილსამყოფელია ბაღდადი, და ორი მუდმივი კომისია — სამხედრო, რომელშიც შედიან პაქტის მონაწილე ქვეყნების არმიების შტაბების უფროსები და მათი მოადგილეები, და ეკონომიური. პაქტის ორგანიზაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მყარდება მუდმივი კავშირი პოლიტიკურ და სამხედრო დარგში ამ ორგანიზაციასთან ამერიკის მუდმივ წარმომადგენელთა მეშვეობით.

ბაღდადის პაქტის მინისტრების მუდმივი საბჭოს პირველ თავმჯდომარედ 1956 წლის ბოლომდე არჩეულია ერაყის პრემიერ-მინისტრი ნური საიდი. შემდეგ ამ პოსტს დაიკავებენ პაქტის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები ალფაბეტის წესით. ბაღდადის პაქტის ორგანიზაციის შემდეგი სესია გაიმართება თეირანში მომავალი წლის აპრილში.

თუმცა ამტკიცებენ, რომ ბაღდადის თათბირი მიმდინარეობდა სრული თანხმობის ვითარებაში, ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ თათბირზე იყო უთანხმოებანი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, ეს უთანხმოებანი წარმოიშვა უმთავრესად თურქეთსა და ინგლისს შორის, რომლებიც იჩემებენ ხელმძღვანელ როლს ამ ორგანიზაციაში. თურქეთი, რომელსაც, როგორც აღნიშნავენ, ზურგს უმაგრებენ შეერთებული შტატები, მოითხოვდა, რომ პაქტის მონაწილე ქვეყნების თანამშრომლობაში განმსაზღვრელი მომენტი უნდა იყოს სამხედრო ასპექტი და დაგმობა ნეიტრალური პოლიტიკისა, რასაც ახორციელებენ არაბთა ქვეყნები, რომლებიც არ შედიან ამ პაქტში. ინგლისს კი მთავარ საკითხად მიაჩნდა ეკონომიური თანამშრომლობა, რაც, მისი აზრით, უნდა მოიცავდეს აგრეთვე ქვეყნებს, რომლებიც არ შედიან ამ ორგანიზაციაში, და რაც სამხედრო თანამშრომლობის აუცილებელი წანამძღვარი იქნება.

ჟურნალისტთა წრეებში ამასთან დაკავშირებით აცხადებენ, რომ ინგლისის პოზიციას განსაზღვრავს მისი მისწრაფება — განამტკიცოს თავისი სერიოზულად შერყეული პოზიციები— უწინარეს ყოვლისა ეკონომიური პოზიციები — ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომლებიც ოდესღაც მისი განუყოფელი გავლენის რაიონი იყო.

სპორტის ამგეები

საბჭოთა ფეხბურთელები ჩინეთში

პეკინი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმატებით გამოდის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ზენიტის“ ლენინგრადის ფეხბურთელთა გუნდი. საბჭოთა ფეხბურთელები უკვე იყვნენ პეკინში, შანხაიში, ტიანძინსა და მუკდენში. ტიანძინში „ზენიტის“ გუნდი შეხვდა ძლიერ მოწინააღმდეგეს. იგი ეთამაშა საზოგადოება „ლოკომოტივის“ რკინიგზელ ფეხბურთელებს. თამაშის მეორე ნახევარში საბჭოთა სპორტსმენებმა „ლოკომოტივის“ კარში გაიტანეს სამი ბურთი. მეორე შეხვედრა ტიანძინში „ზენიტის“ ფეხბურთელებს ჰქონდათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კლუბის ნაკრებ გუნდთან. ლენინგრადელები კარგად თამაშობდნენ და მატჩი მოიგეს ანგარიშით 8 : 0.

სპორტული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ფეხბურთელების თამაშმა მუკდენში. 20 ნოემბერს „ზენიტის“ გუნდი შეხვდა მუკდენის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს, რომელიც გაძლიერებული იყო მუკდენის სხვადასხვა სასპორტო კოლექტივების საუკეთესო მოთამაშეებით. ქალაქის სახალხო სტადიონზე შეიკრიბა უამრავი მაყურებელი. თამაში მიმდინარეობდა „ზენიტის“ ფეხბურთელთა უპირატესობით და დამთავრდა ანგარიშით 9 : 0.

23 ნოემბერს ზენიტის ფეხბურთელებმა მეორედ ითამაშეს მუკდენში. მათ წინააღმდეგ გამოდიოდა გირინის ნაკრები გუნდი. თამაშის პირველ ნახევარში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებას. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც გირინის ფეხბურთელთა კარში თამაშის მეორე ნახევრის მეხუთე წუთზე გაიტანა „ზენიტის“ გუნდის კაპიტანმა ბონდარენკომ.

„ზენიტის“ გუნდს ჩინეთში ჰქონდა სულ 9 შეხვედრა, აქედან მან 8 მოიგო და 1 ფრედ დაამთავრა. დღეს „ზენიტი“ მიემგზავრება ქალაქ დალნში, სადაც მას ელნება ორი უკანასკნელი შეხვედრა.

სმილლოვმა უზრუნველყო თავისთვის პირველი ადგილი

ზაგრები, 23 ნოემბერი. (საკდესი). მე-18 ტურში სმილლოვმა გაიმარჯვა დიუკშტაინზე (ავსტრია). პორეკამ (იტალია) მოუგო მატანოვიჩს (იუგოსლავია).

ყაიმით დამთავრდა ბარეა (უნგრეთი) — ფილიპის (ჩეხოსლოვაკია), მინევ (ბულგარეთი) — უდოვიჩიჩის (იუგოსლავია), კარაკლაიჩ-რაბბარის (ორივე იუგოსლავია), ტრიფუნოვიჩ-გლიგორიჩის (ორივე იუგოსლავია) და ო'კელი (ბელგია)-ფუდერერის (იუგოსლავია) პარტიები. მილიჩ-ბერტოკის (ორივე იუგოსლავია) და გელერ (სსრ კავშირი) — პირცის (იუგოსლავია) პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

დილით გათამაშდა წინანდელი ტურის პარტიები. ყაიმზე შეთანხმდნენ პორეკა და მილიჩი. გლიგორიჩ-გელერის პარტია კვლავ გადაიდო.

18 ტურის შემდეგ სმილლოვმა 14 ქულა მოაგროვა და უკვე უზრუნველყო თავისთვის პირველი ადგილი.

მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრება პეკინში

პეკინი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ და დღეს პეკინში მსროლელთა საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებაში მიმდინარეობდა ასპარეზობა პისტოლეტის სროლაში. თვითეულ სპორტსმენს ერთი სერიის პისტოლეტი 25 მეტრი მანძილიდან ჯერ 8 წამში, შემდეგ 6 წამში და, ბოლოს, 4 წამში უნდა მოეხვედრებინა ხუთი სილუეტისათვის.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა რუმინეთის გუნდმა. რუმინელმა მსროლელებმა მოახვედრეს 240-სავე სილუეტს და მოაგროვეს 2.305 ქულა. 240 სილუეტს მოახვედრეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა, რომლებმაც მეორე ადგილი დაიკავეს, რადგან მოაგროვეს 2.196 ქულა. საბჭოთა მსროლელების გუნდმა მოაგროვა ქულების ყველაზე მეტი რაოდენობა — 2.311 ქულა, მაგრამ, რადგან მან 240 სილუეტიდან მოახვედრა 239-ს, ამიტომ დაიკავა მესამე ადგილი. მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ ჩინეთის მსროლელი სპორტსმენები, მეხუთეზე — ბულგარელები, მეექვსეზე — პოლონელები, მეშვიდეზე — მონღოლები.

პირადი პირველობა პისტოლეტებით სილუეტებზე სროლაში მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა ო. ჟგუტოვმა, რომელმაც მოახვედრა 60-სავე სილუეტს და მოაგროვა 582 ქულა.

სამხატვრო ნაწარმის საეხიბიციო-გაყიდვითი ბიბლიოთეკა

საქართველოს სარეწაო საბჭომ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე გახსნა ხამხატვრო ნაწარმის სპეციალიზებული მაღაზია. მაღაზიაში გამოტანილია ძირითადად არტელ „მხატვრის“ ნაწარმი. იყიდება აგრეთვე არტელ „ნ დეკემბრის“ და სხვა არტელების პროდუქცია.

მხატვრული ნაწარმოებებიდან მაღაზიაში აღსანიშნავია ცნობილ ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა მიერ შესრულებული სურათები და ქანდაკებები. აქ არის სტალინური პრემიის ლაურეატის რ. სტურუას, მხატვრების ა. ჟვანიეცელაძის, გ. ჩირინაშვილის, პ. დათებაშვილის, დ. ბერძენიშვილის, ო. ვართანოვის, რ. ჯავრიშვილის, ხ. ნიაურის, მ. ხვიტიას, რ. ჯალალონიას, მოქანდაკეების ი. ოქროპირიძის, თ. ასათიანის, ა. გორგაძის, კ. ბუმბერაძის და სხვათა ნამუშევრები.

მაღაზიაში ბევრია საიუველირო ნაწარმი — მოვერცხლილი ყანწები, ვერცხლის ჭურჭელი, ნაქარგი ქართული მხატვრული ორნამენტები, კერამიკული ნაწარმი, სათამაშოები და სხვ.

• • •

სურათზე: მხატვრული ნაწარმის მაღაზიაში.

ფოტო შ. გოკაძისა.

შინაგანი მოგებიანი სესხი

დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი. ამ სესხის ობლიგაციებს ჰყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში საქართველოს სსრ შემნახველმა სალაროებმა მოსახლეობას მიჰყიდეს 51 მილიონ 266 ათასი მანეთის 3-პროცენტიანი სესხის ობლიგაციები.

განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება ამ სესხის ობლიგაციებზე მოგებათა 48-ე მორიგ ტირაჟთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართება ლენინგრადში 30 ნოემბერს. ამ ტირაჟში გათამაშდება 32 მილიონ 551 ათასი მანეთის 59.500 მოგება. მათ შორის არის 50.000, 25.000, 10.000, 5.000. 1.000 და 400-მანეთიანი მოგებები.

შემნახველი სალაროები ყოველდღიურად ჰყიდიან ამ სესხის ობლიგაციებს.

ყოველწლიურად ეწყობა ამ სესხის ექვსი ტირაჟი და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟი. სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებით შეიძლება 400-100.000-მდე მანეთის მოგება. 100.000 მანეთი მოგება გათამაშდება მხოლოდ დამატებითი ტირაჟში.

მოგება, რომელიც ობლიგაციას დამატებითი ტირაჟში ხვდა, გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაცია შეძენილია დამატებითი ტირაჟამდე სულ ცოტა 9 თვით ადრე.

სასამართლო

საზოგადოების ხორცმეჭეები

მიმდინარე წლის 7 მაისს ღამით დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტს ვინმე ოსიპოვის „პობედის“ მარკის ავტომანქანა მიადგა. მის გამოსაცნობ ფარზე აღნიშნული იყო „გ. ხ. № 29-13“. მანქანა შიგ მსხდომებმა სოფლის კოოპერატივის მოშორებით გააჩერეს და კოოპერატივის დარაჯს ვ. ქავთარაძეს გამოელაპარაკნენ. მოხერხებული საუბრით ახლოს მიიტყუეს, გულზე რევოლვერი დაადეს, მოკვლის მუქარით თავის საგუშაგოს მოაცილეს, თავზე ნაბადი გადაახურეს და ერთი შეიარაღებული ბანდიტი მიუყენეს, დანარჩენებმა მაღაზიის ფანჯრები შეამტვრიეს და იქიდან 32.723 მანეთის საქონელი გამოიტანეს. შემდეგ ხელფეხშებოჭილი დარაჯი მაღაზიაში შეათრიეს, პირში ქალის წინდები ჩასჩარეს და გზას გაუდგნენ.

მაგრამ ბანდიტების გზა ძალიან მოკლე გამოდგა. მეორე დღეს, ე. ი. 8 მაისს, ქალაქ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მილიციის თანამშრომლებმა ექვით გააჩერეს მანქანა „გ. ხ. 29-13“. მანქანაში 5 კაცი იჯდა. ერთ-ერთმა მათგანმა გაქცევა სცადა, მაგრამ იგი შეიპყრეს და გაჩხრეკის დროს „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი აღმოუჩინეს. მანქანაში იპოვნეს ჭოპორტის კოოპერატივიდან გატაცებული საქონლის ნაწილი და „ტტ“-ს სისტემის რევოლვერი.

მანქანაში მსხდომნი — თენგიზ ტუღუში, ელიზბარ კანდელაკი, ვასილ ასათიანი, ფაცვიზ დოლიძე და ვახტანგ კიკაბიძე შეიპყრეს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს ჯგუფი მძარცველთა ბრბოს მხოლოდ ნაწილი იყო. ამ ბანდას თ. ტუღუში ხელმძღვანელობდა.

ვინ არის თ. ტუღუში, იგივე არტემ სამსონიძე გასპაროვი, იგივე ილია ხაჩიკოს-ძე აკოფოვი ეს არის გამოუსწორებელი ბანდიტი. მას გასულ წელს მისჯილი ჰქონდა 25 წლის პატიმრობა. მიმდინარე წლის 3 თებერვალს საპატიმროდან გაიპარა, დაუკავშირდა თავისსავე მსგავს პატიმრობიდან გამოპარულ სარასტ (სარიკ) ტარაპეტის-ძე მანსელიანს, იგივე ზაქარია იოსების-ძე რაზმაძეს. მათ შეადგინეს მძარცველთა ბრბო და იწყეს მოსახლეობის ძარცვა.

როგორც სასამართლო პროცესზე გამოირკვა, ამ ბრბომ მიმდინარე წლის აპრილში ქ. ქუთაისში გაძარცვა მოქალაქე მიხეილ ელიგულაშვილის ბინა. მანსელიანი ძარცვავდა აგრეთვე ტაქსის მძღოლებს.

ამ დღეებში ეს ბრბო წარსდგა სასამართლოს წინაშე. მათი საქმე გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

მთავარ დამნაშავეებს—თ. ტუღუშს და ს. მანსელიანს მიესაჯათ 25 წლის პატიმრობა ოთეულს, პირადი ქონების კონფისკაცია და ჯილის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლით სამოქალაქო ჩვენო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ვ. ასათიანს, ე. კანდელაკს, ფ. დოლიძეს, ვ. კიკაბიძეს, ა. დეკანოზიშვილს და ნ. მაზალოვს მიესაჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

ვ. იოსებაშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — თავადი იგორი (ტ. კუუნიკის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის—ახალგაზრდა მასწავლებელი, მარჯანიშვილის სახელობის — პიგმალიონი, გრიბოედოვის სახელობის — პერსონალური საქმე, სომხური დრამის — კამო, მუსიკალური კომედიის — პერიკოლა, მოზარდ მაყურებელთა ქართული—კომბლე (აბონემენტი № 38, 6 ს.), თოჯინების ქართული — მშვიდობის ფრთებზე (4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, 26 კომისრის სახელობის, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ციხკარა, კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კოლხიდა, კომუნარების ბაღი — მეთორმეტე ღამე, დიდუბე, გორკის სახელობის კულტურის სახლი— კვალი თოვლზე, კოლმეურნე — ანა კასერზე, კიროვის სახელობის პარკი — ავარა (I და II სერია).

დისერტაციის დაცვა
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წლის 7 დეკემბერს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**გიორგი ნესტორის-ძე ნადარეიშვილ